



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო  
მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

რეგიონალურ გეოგრაფიასა და რეკრეაციულ რესურსებში

ქუთაისი

2011

**პროგრამის სახელწოდება – რეგიონალური გეოგრაფია და რეკრეაციული რესურსები**  
**Regional Geography and Recreational Resources**

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი  
Master of Natural Science

**პროგრამის კოორდინატორი:**

ასოცირებული პროფესორი დალი მიქაუტაძე

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 და მოიცავს:**

სპეციალობის სავალდებულო კურსებს (105 კრედიტი), საიდანაც 5 კრედიტი გათვალისწინებულია საკურსო ნაშრომზე (II სემესტრი) და 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომზე (IV სემესტრი). და არჩევით კურსებს (15 კრედიტი).

**სწავლების ენა:** ქართული

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ გეოგრაფიულ გარემოში მიმდინარე პროცესების თავისებურებათა აღქმა, ანალიზი და პროგნოზირება გარემოს შენარჩუნების, აღდგენისა და კვლავწარმოების მიზნით ადგილობრივ და რეგიონალურ დონეებზე; ასევე საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად გამოცხადებული ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის ფორმირებისა და ფუნქციონირების გეოგრაფიული თავისებურებანის შესწავლა-ანალიზი. სავლელ და კვლევითი სამუშაოების ჩატარება, მიღებული მასალების დამუშავება გეოინფორმაციული სისტემების ტექნოლოგიების გამოყენებით.

პროგრამის ფარგლებში შეძენილი თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები გაზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივებს.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** საბუნებისმეტყველო ან მონათესავე მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს საერთო-სამაგისტრო ეროვნული და სპეციალობის გამოცდები.

**დარგის შესაბამისი სწავლის შედეგები**

**დარგობრივი კომპეტენციები**

**დარგის ცოდნა და გაცნობიერება**

- შეუძლია კვლევის ჩატარება ბუნებრივი გარემოს მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად;
- აცნობიერებს რეგიონების სწორი, რაციონალური დაგეგმარების მნიშვნელობას რესურსების, მათ შორის რეკრეაციულის მოხმარების ოპტიმალური მიჯნების მისაღწევად და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ტურისტული ფორმებისა და ორგანიზაციების მომსახურების გასაწევად;

- ერკვევა გეოსისტემების განვითარების სივრცე-დროითი ანალიზის და სინთეზის საკითხებში და GIS-ების პროგრამებში;
- ერკვევა გარემოს ევოლუციის, ბუნებრივი რისკების და სტიქიური პროცესების მართვის საკითხებში

### **დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება**

- შეუძლია გარემოსა და საზოგადოების ურთიერთკავშირის შედეგად წარმოქმნილი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, გეოეკოლოგიური პროცესებისა და პრობლემების იდენტიფიცირება, გააზრება და სიღრმისეული გაცნობიერება;
- შეუძლია აქტუალური სამეცნიერო და პრაქტიკული პრობლემების გლობალურ, რეგიონულ და ლოკალურ დონეებზე წარმოჩენა, კვლევა და მისი გადაჭრის გზების დასახვა;
- ახდენს რუკებისა და სხვა სახის კარტოგრაფიული გამოსახულებების კითხვასა და ანალიზს; დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების მასალების გამოყენებას;
- შეუძლია სამეცნიერო კვლევების, კრიტიკული აზროვნების, გეოეკოლოგიური პროგნოზის, მდგრადი რეგიონული განვითარების პრინციპების განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიღება.
- შეუძლია საველე პირობებში დამოუკიდებლად მოიძიოს ზოგადი გეოგრაფიული მასალები, მოახდინოს მათი ანალიზი, განზოგადება და შედეგების მოხსენება.

### **ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები**

#### **დასკვნის უნარი**

- შეუძლია დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება;
- შეუძლია პრობლემის იდენტიფიცირება, დასმა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება.

#### **კომუნიკაციის უნარი**

- შეუძლია მშობლიურ და უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია;
- შეუძლია დროის დაგეგმვა და მართვა;
- შეუძლია კომუნიკაცია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- შეუძლია ჯგუფში მუშაობა;

#### **სწავლის უნარი**

- შეუძლია სწავლა და ცოდნის მუდმივი გაახლება;
- შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღება, დამუშავება, ანალიზი და სინთეზი;
- შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა;

#### **ღირებულებები:**

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებით მაგისტრებს გამოუმუშავდებათ;

- კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი;

- განსხვავებულ სიტუაციებში პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შენარჩუნება;
- შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის დამოუკიდებლად გამოყენების უნარი;
- გარემოს დაცვის ვალდებულების შეგნების უნარი;
- ზოგადი და პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა;
- გააჩნია დადებითი დამოკიდებულება უსაფრთხო და მდგრადი განვითარების მქონე გარემოს შესაქმნელად არსებულ ნორმებისადმი და ინიციატივებს იჩენს მათი დაცვის მიმართულებით;

### **დასაქმების სფეროები:**

მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად მაგისტრები შეიძლება დასაქმდნენ – შესაბამისი პროფილის სასწავლო-კვლევით და სამეცნიერო დაწესებულებებში (სკოლა, კოლეჯი, უმაღლესი სასწავლებლები), მიწათმოწყობისა და კადასტრის, აგრეთვე სატყეო დეპარტამენტებში, დაცული ტერიტორიების სისტემებში (WWF), ტურიზმის დეპარტამენტში, ტურისტულ სააგენტოებსა და კომპანიებში, რეკრეაციულ სისტემებში, გარემოს დაცვის სამსახურებსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.

### **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:**

სწავლების შედეგები მიიღწევა – ვერბალური, წყაროებზე მუშაობის, წერითი, კარტოგრაფიული, დემონსტრირების, სავლე მუშაობის, ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობითი სწავლების, ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებით. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების, ელექტრონული სწავლების (დასწრებული/დისტანციური) მეთოდებით.

### **მაგისტრის ცოდნის შეფასების სისტემა:**

მაგისტრის მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მაგისტრის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
2. დაუშვებელია მაგისტრის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. მაგისტრის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
  - ა) შუალედურ შეფასებას;
  - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს. კურსი ათვისებულად ითვლება, თუ მაგისტრის საბოლოო შეფასება ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. მაგისტრს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

II სემესტრის ბოლოს სრულდება საკურსო ნაშრომი, ხოლო IV სემესტრის ბოლოს სამაგისტრო ნაშრომი. გამოცდები ტარდება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი (ტესტები, რეფერატი) სახით. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება აწსუ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ივნისის №112 (10/11) დადგენილების საფუძველზე. შეფასების აღნიშნული მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსში მაგისტრის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

**სასწავლო გეგმა**

	საგნის დასახელება	კოდი	ლქ/პრ/ს/ლაბ. დამოუკიდ (სთ)	კრედიტ. საერთო რაოდენ.	კრედიტების განაწილება				საკონტაქტო საათების რაოდენობა				
					სემესტრები				სემესტრები				
					I	II	III	IV	I	II	III	IV	სულ
1	საქართველოს რეგიონალური გეოგრ. I	NGM 0010	24/12/0/80	5	5				36				36
2	საქართველოს რეგიონალური გეოგრ. II	NGM 0020	15/30/0/80	5		5				45			45
3	საქართველოს კლიმატი და კლიმატური რესურსები I	NGM 0030	30/15/0/80	5		5				45			45
4	საქართველოს კლიმატი და კლიმატური რესურსები II	NGM 0180	15/30/0/80	5			5				45		45
5	საქართველოს გეომორფოლოგია	NGM 0040	24/12/0/80	5	5				36				36
6	ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	NGM 0050	24/12/0/80	5	5				36				36
7	ბისეკის ქვეყნების გეოგრაფია	NGM 0060	15/30/0/80	5			5				45		45
8	გამოყენებითი გეოეკოლოგია	NGM 0080	30/15/0/80	5			5				45		45
9	ინგლისური ენა I	NGM 0090	30/15/0/80	5		5				45			45
10	სამეცნიერო წერის საფუძ.	NGM 0100	12/24/0/80	5	5				36				36
11	საქართ. ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა და ორგანიზაცია.	NGM 0140	12/24/0/80	5	5				36				36
12	საქართ. გეოინფორმაც. სისტემები	NGM 0120	15/30/0/85	5		5				45			45
13	ინგლისური ენა II	NGM 0130	30/15/0/80	5			5				45		45
14	გეოგრაფიის აქტუალური საკითხები	NGM 0110	30/15/0/80	5			5			45			45
15	საკურსო ნაშრომი	NGM 0170		5		5				10			10
16	სამაგისტრო ნაშრომი	NGM 0190		30				30				30	30
17	<b>არჩევითი კურსი I</b>			<b>5</b>	<b>5</b>				<b>36</b>				<b>36</b>
	საქართველოს სოციო-კულტურული დინამიკა	NGM 0150	24/12/0/80										
	საქართ. მატერიალური კულტურის ძეგლები												
18	<b>არჩევითი კურსი II</b>			<b>5</b>		<b>5</b>				<b>45</b>			<b>45</b>
	დემოგრაფია	NGM 0160	30/15/0/80										
	ექსკურსიათმცოდნეობა												
19	<b>არჩევითი კურსი III</b>			<b>5</b>			<b>5</b>				<b>45</b>		<b>45</b>
	კურორტების გეოგრაფია	NGM 0070	30/15/0/80										
	საქართველოს დაცული ტერიტორიები												
	<b>სულ:</b>			<b>120</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>					

კომპეტენციების ცხრილი

ს ა გ ე ბ ი	საქართველოს რეგიონული გეოგრაფია I	საქართველოს რეგიონული გეოგრაფია II	საქართველოს კლიმატური რესურსები I	საქართველოს გეომორფოლოგია	ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	ბისევის ქვეყნების გეოგრაფია.	გამოყენებითი გეოეკოლოგია	ინგლისური ენა I	სამეცნიერო წერის საფუძვლები	გეოგრაფიის აქტუალური საკითხები	საქართველოს გეოინფორმაციული სისტემები	ინგლისური ენა II	საქართველოს ტურისტულმარშრუტების დაგეგმვა და ორგანიზაცია	საქართველოს კლიმატური რესურსები II	საკურსო ნაშრომი	სამაგისტრო ნაშრომი	საქართველოს სოციო-კულტურული დინამიკა	საქართ. მატერიალური კულტურის ძეგლები	დემოგრაფია	ექსკურსიათმცოდნეობა	კურორტების გეოგრაფია	დაცული ტერიტორიები	
ცოდნა, გაცნობიერება	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
დასკვნის უნარი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
კომუნიკაციის უნარი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
სწავლის უნარი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
ღირებულებები	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+

## სასწავლო კურსის ანოტაციები

### საქართველოს რეგიონალური გეოგრაფია I (5 კრედიტი)

კურსის კოდი – NGM 0010

ლექტორი: ასოც. პროფ. ნ. ბლიაძე

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

რეგიონალური გეოგრაფიის კვლევის საგანი, მიზანი და ამოცანები; საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები; საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა; საქართველოს თანამედროვე – სამხარეო დაყოფა; შიდა ქართლის გეოგრაფიული დახასიათება; ქვემო ქართლის გეოგრაფიული დახასიათება; კახეთის გეოგრაფიული დახასიათება; ერწო-თიანეთის გეოგრაფიული დახასიათება; თუშეთის გეოგრაფიული დახასიათება; ხევს გეოგრაფიული დახასიათება; ხევსურეთის გეოგრაფიული დახასიათება; მთიულეთ-გუდამაყარის გეოგრაფიული დახასიათება; ფშავის გეოგრაფიული დახასიათება; სამცხის გეოგრაფიული დახასიათება.

### საქართველოს რეგიონალური გეოგრაფია II (5 კრედიტი)

კურსის კოდი – NGM 0020

ლექტორი: ასოც. პროფ. ნ. ბლიაძე

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ჯავახეთის გეოგრაფიული დახასიათება; თორის გეოგრაფიული დახასიათება; თრიალეთის გეოგრაფიული დახასიათება; იმერეთის გეოგრაფიული დახასიათება; რაჭის გეოგრაფიული დახასიათება; ლეჩხუმის გეოგრაფიული დახასიათება; სამეგრელოს გეოგრაფიული დახასიათება; სვანეთის დახასიათება; გურიის გეოგრაფიული დახასიათება; გეოგრაფიული დახასიათება; გურიის ფიზიკურ და ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება; თბილისის გეოგრაფიული დახასიათება;

### საქართველოს კლიმატი და კლიმატური რესურსები I (5 კრედიტი)

კურსის კოდი – NGM 0030

ლექტორი: ასოც. პროფ. დ. მიქაუტაძე

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

საქართველოს ჰავის ფორმირების ძირითად ფაქტორებს – რადიაცია, ჰავის ცირკულაციური პროცესები, ქვეფენილი ზედაპირის ხასიათი ..., ასევე ცალკეული კლიმატური ელემენტების მახასიათებლების თავისებურებებს, მათ გეოგრაფიულ განაწილებასა და ცვალებადობას; საქართველოს ცალკეული ფიზ-გეოგრაფიული რაიონის ჰავას.

### საქართველოს კლიმატი და კლიმატური რესურსები II (5 კრედიტი)

კურსის კოდი – NGM 0180

ლექტორი: ასოც. პროფ. დ. მიქაუტაძე

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

საქართველოს კლიმატის ცალკეული ელემენტების რეჟიმი და რესურსი, მათი დროითი და სივრცითი სტატისტიკური სტრუქტურა, მიკროელემენტები, გამოკვლევის პერსპექტივები; კლიმატის ცვლილებები.

**საქართველოს გეომორფოლოგია(5 კრედიტი)**

კურსის კოდი – NGM 0040

ლექტორი: სრული პროფ. ო. ჩხეიძე

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

რელიეფწარმოქმნელ ენდოგენურ და ეგზოგენურ ფაქტორებს, მსხვილ გეომორფოლოგიურ ერთეულებს, გეომორფოლოგიურ კომპლექსებს მათი მეურნეობაში გამოყენების მიზნით. გეომორფოლოგიურ დარაიონებას და საქართველოს გეომორფოლოგიის მთავარ პრობლემებს.

**ტურისტულ–რეკრეაციული რესურსები (5 კრედიტი)**

კურსის კოდი – NGM 0050

ლექტორი: ასოც. პროფ. ა. მახარაძე

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ტურისტულ–რეკრეაციული რესურსებს; მათი გავრცელების კანონზომიერებებს; მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, რეკრეაციულ ბუნებათსარგებლობისა და ბუნების დაცვის პრობლემებს.

**ბისეკის ქვეყნების გეოგრაფია. (5 კრედიტი)**

კურსის კოდი – NGM 0060

ლექტორი: ასოც. პროფ. ი. იაშვილი

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

რეგიონის პოლიტიკური რუკის ფორმირება, ბუნებრივი რესურსების, სამეურნეო გამოყენების, ეკონომიკის განვითარებისა და მასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემების შესახებ რეგიონის მოსახლეობის ფორმირების ისტორიულ–გეოგრაფიული პროცესები; შავი ზღვის ეკოლოგიურ პრობლემებს და მის სამეურნეო პოტენციალს. სტრუქტურის, ბისეკის ორგანიზაციის სტრუქტურის, ფუნქციებისა და პერსპექტივების განხილვას.

**გამოყენებითი გეოეკოლოგია (5 კრედიტი)**

კურსის კოდი – NGM 0080

ლექტორი: ასოც. პროფ. მ. კუბეცია

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

დედამიწის ზედაპირზე მიმდინარე მოვლენების კომპლექსური აღქმის უნარს, საზოგადოებასა და ბუნებას შორის ურთიერთობაში. ტექნოლოგიურ და სხვა ინტელექტუალური მიღწევებით მაგისტრი მზადაა სამოქალაქო საზოგადოებაში შეძლოს პრობლემების გზების ძიება და განახლება.

**უცხო ენა I (ინგლისური) (5 კრედიტი)**

კურსის კოდი – NGM 0090

ლექტორი:

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

მოცემული კურსი მიზნად ისახავს კომპლექსური მეთოდით ვასწავლოთ ინგლისური ენა მონოლინგვურ ჯგუფებში. კურსი ემყარება ინგლისური ენის პრაქტიკულ სწავლებას. ის ორიენტირებულია როგორც ზეპირი, ისე წერიითი მეტყველების აქტიურ დაუფლებაზე.

### **სამეცნიერო წერის საფუძვლები (5 კრედიტი)**

**ლექტორი:** ასოც. პროფ. ნ. კუტივაძე

**სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:**

წერის ზოგადი პრინციპებს, სამეცნიერო ტექსტის სტრუქტურისა და ორგანიზების თავისებურებებს; ანალიტიკური რეფერატის, კვლევითი ნაშრომის უმთავრეს მახასიათებლებს, რეფერირებისა და რეცენზირების თავისებურებებს. გაეცნობიან ციტირების, გამოყენებული ლიტერატურისა თუ სხვა წყაროების დამოწმების წესს. უკეთ გააცნობიერებენ აკადემიური ნაშრომის სპეციფიკას, გამოიმუშავენ წერის ორიგინალურ და დახვეწილ სტილს. შეძლებენ სამეცნიერო სტილის ძირითად მოთხოვნათა გათვალისწინებას, დარგობრივი ტერმინოლოგიის, შესიტყვებებისა და ფრაზეოლოგიის სტრუქტურულ მოდელებში გარკვევას, ახალი სიტყვაწარმოებითი მოდელების ათვისებას.

### **საქართველოს ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა და ორგანიზაცია (5კრედიტი)**

**კურსის კოდი – NGM 0140**

**ლექტორი:** ასოც. პროფ. ც. დავითულიანი

**სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:**

ტურიზმს, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას; საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული სისტემის რაობას, მოთხოვნებსა და ფუნქციებს. ჩვენი ქვეყნის რეკრეაციული რესურსების მრავალფეროვნებასა და ძირითად ტიპებს. რეკრეაციული დარაიონების პრინციპებს და მის საფუძველზე გამოყოფილ რაიონებს საქართველოში. საქართველოს რეკრეაციული რაიონების ტურისტულ-რეკრეაციულ პოტენციალს და განვითარების პერსპექტივებს. საქართველოს რეკრეაციული საქმიანობის სივრცობრივი და დროით დინამიკასა და ტერიტორიულ ორგანიზაციას; საქართველოს ცალკეული ტურისტული მარშრუტების დაგეგმვასა და ორგანიზაციას.

### **საქართველოს გეოინფორმაციული სისტემები (5 კრედიტი)**

**კურსის კოდი – NGM 0120**

**ლექტორი:** ფ.ჯინჯიხაძე

**სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:**

გეოინფორმაციული სისტემების შექმნის ისტორიასა და აუცილებლობას. გეოგრაფიული ინფორმაციის მოპოვება, შენახვა, ანალიზი და შემდეგ მათი გრაფიკულ, ვიზუალური და სივრცითი დამუშავება. ციფრული რუკების შექმნა, გეოგრაფიულ ობიექტებზე დამატებითი ინფორმაციის რედაქტირება. გეოინფორმაციული სისტემების სტრუქტურა. პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფის მეთოდები და ხერხები.

### **უცხო ენა II (ინგლისური) (5 კრედიტი)**

**კურსის კოდი – NGM 130**

**ლექტორი:**

**სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:**

მოცემული კურსი მიზნად ისახავს შესაბამისი დონის უცხო ტექსტის დამუშავებასა და გაგებას. საგანმანათლებლო ინტერესებთან დაკავშირებული უცხოენოვანი ტექსტების (მაგ.,სამეცნიერო-პოპულარული სტატია, ესე, საგაზეთო პუბლიკაცია, ბუკლეტი, რეპორტაჟი

და სხვა), მხატვრული ტექსტების (მოთხრობა, ნოველა, მინიატურა, პოეზიის, თანამედროვე პროზის ნაწევრები) წაკითხვა, გაგება და გაანალიზება. მაგისტრი ფლობს სქემატური ჩანაწერების სხვადასხვა ტექნიკას.

### **გეოგრაფიის აქტუალური საკითხები (5 კრედიტი)**

**კურსის კოდი – NGM 0110**

**ლექტორი: ასოც.პროფ. ც. დავითულიანი**

**სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:**

რეგიონალურ და ლოკალურ დონეებზე ბუნებათსარგებლობის ოპტიმიზაცია, ეკოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებების შეფასება, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, საწარმოსა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსება და უტილიზაცია, SWOT-ის ანალიზი და ა.შ.

### **საკურსო ნაშრომი (5 კრედიტი)**

**კურსის კოდი – NGM 0170**

საკურსო ნაშრომის შესრულება გულისხმობს მაგისტრის მიერ, არჩეული სპეციალიზაციის ფარგლებში, სამეცნიერო თემატიკის დამოუკიდებელ შესწავლას და შედეგების წარმოდგენას ხელნაწერი და ზეპირი პრეზენტაციის სახით;

საკურსო ნაშრომის ხელმძღვანელი და თემატიკა ისაზღვრება დეპარტამენტის მიერ;

საკურსო ნაშრომი შეიძლება იყოს რეფერატული ან/და კვლევითი ხასიათის.

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები – არჩეული სპეციალიზაციის I, II სემესტრის ყველა კურსის გავლა**

### **სამაგისტრო ნაშრომი (5 კრედიტი)**

**კურსის კოდი – NGM 0190**

სამაგისტრო ნაშრომის შესრულება გულისხმობს მაგისტრის მიერ, არჩეული სპეციალიზაციის ფარგლებში, გარკვეული თანამედროვე სამეცნიერო თემატიკის დამოუკიდებელ შესწავლას და შედეგების წარმოდგენას ხელნაწერი და ზეპირი პრეზენტაციის სახით;

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და თემატიკა ისაზღვრება დეპარტამენტის მიერ;

სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება იყოს რეფერატული ან/და კვლევითი ხასიათის

**კურსის ათვისებისათვის საჭირო წინაპირობები – არჩეული სპეციალიზაციის ყველა სასწავლო კურსის გავლა.**

### **საქართველოს სოციო-კულტურული დინამიკა (5 კრედიტი)**

**კურსის კოდი – NGM 0150**

**ლექტორი: ასოც.პროფ. რ. მიქაუტაძე**

**სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:**

აღნიშნული საგანი ითვალისწინებს ეროვნული კულტურის შეცნობას კულტურის ისტორიული ტიპოლოგიის საერთაშორისო კონცეფციებისა და კულტურის სოციოდინამიკის გამოყენებით; წარმოაჩინოს ქართული კულტურის მოზაიკური ბუნება და მოგვცეს მისი სიღრმისეული ანალიზი; გააცნონ სტუდენტებს ქართულ კულტურაში

მიმდინარე არსებითი და მეორეხარისხოვანი პროცესები, დადებითი და უარყოფითი კულტურული ძვრები, მემკვიდრეობითობის პრინციპები და სხვა კულტურებთან თანაარსებობა-შეგუებადობის ან დაპირისპირების საკითხები.

### **საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლები (5 კრედიტი)**

**ლექტორი:** ასოც.პროფ. რ. მიქაუტაძე

**სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:**

საქართველოს მატერიალურ და კულტურული ძეგლების ისტორიას უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის ჩათვლით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ; საცხოვრებელი, საფორტიფიკაციო, სატაძრო არქიტექტურის განვითარებას; რელიეფურ ქანდაკებასა და საოქრომჭედლო სკოლებს; ფრესკულ ფერწერას და მოზაიკას, მინიატურებს.

### **დემოგრაფია (5 კრედიტი)**

**კურსის კოდი – NGM 0160**

**ლექტორი:** ასოც.პროფ. ნ.ბლიაძე

**სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:**

დემოგრაფიის საგანი, ამოცანები და მეთოდები, დემოგრაფიის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია; ინფორმაციის წყაროები მოსახლეობისა და დემოგრაფიული პროცესების შესახებ; მოსახლეობის რიცხოვნება და სტრუქტურა; მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები; მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა და კვლავწარმოება; ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი; დემოგრაფიული პროგნოზირება;

### **ექსკურსიათმცოდნეობა (5 კრედიტი)**

**ლექტორი:** ასოც.პროფ. ნ.ბლიაძე

**სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:**

ექსკურსიის არსს, ფუნქციებსა და ნიშნებს, კლასიფიკაციას, საექსკურსიო პროდუქტის შექმნის ტექნოლოგიას; საექსკურსიო მარშრუტების შედგენას; ექსკურსიამდლოლის ფორტფელის დაკომპლექტებასა და საკონტროლო ტექსტის შედგენას, ექსკურსიის ჩატარების მეთოდიკასა და ექსკურსიის გაძღოლის ტექნიკას.

### **კურორტების გეოგრაფია (5 კრედიტი)**

**კურსის კოდი – NGM 0070**

**ლექტორი:** ასოც. პროფ. ი. იაშვილი

**სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:**

მსოფლიოს კურორტები, საკურორტო-რეკრეაციული რესურსების გამოყენებისა და პოტენციალის შესახებ; კურორტების ათვისებულობისა და მზაობის ხარისხი შიგა და გარე ბაზრისათვის; ისტორიული განვითარების შესახებ, საკურორტო ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები და შესაძლებლობები მსოფლიოსა და საქართველოში.

## საქართველოს დაცული ტერიტორიები (5 კრედიტი)

ლექტორი: ასოც. პროფ. მ. კუბეცია

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

დაცული ტერიტორიების კრიტერიუმსა და სახეებს, საკანონმდებლო ბაზის როლს, კონსერვაციის მსოფლიო კავშირის ორგანიზაციის რეკომენდაციებს საქართველოს და ზოგადად მსოფლიოს დაცული ტერიტორიების შესახებ; შედარებითი ანალიზის საფუძველზე საქართველოს დაცული ტერიტორიების მდგრადი განვითარების პროექტირებას; საქმიანობის სივრცობრივ და დროით დინამიკას დაცულ ტერიტორიებზე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და ა.შ.

## გეოგრაფიის დეპარტამენტის ადამიანური და მატერიალური რესურსები

სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ბაზაზე. დეპარტამენტი შედგება 11 წევრისაგან:

1. ასოცირებული პროფესორი – დალი მიქუტაძე (დეპარტამენტის კოორდინატორი);
2. სრული პროფესორი – ოთარ ჩხეიძე;
3. ასოცირებული პროფესორი – აბელი მახარაძე;
4. ასოცირებული პროფესორი – ია იაშვილი;
5. ასოცირებული პროფესორი – ციციწო დავითულიანი;
6. ასოცირებული პროფესორი – ნანა ბლიაძე;
7. ასოცირებული პროფესორი – მზია კუბეცია;
8. მოწვეული სპეციალისტი – ელდარი ბასილაძე;
9. მოწვეული სპეციალისტი – ინდიკო ტყემელაშვილი;
10. მოწვეული სპეციალისტი – ფიქრია ჯინჯიხაძე;
11. ტექნიკური პერსონალი – ცირა ყიფიანი.

სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის პროცესში მაგისტრს საშუალება ექნება აქტიურად გამოიყენოს უახლესი კომპიუტერული GIS პროგრამები, საბაზო მიმართულებაზე არსებული კომპიუტერებისა და ინტერნეტის მეშვეობით, ისარგებლებს არსებული ლიტერატურული და საფონდო მასალებით. დაიგეგმება სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციები საქართველოს რეგიონებში.

კვლევითი კომპონენტების განსახორციელებლად პროგრამაში ჩართული იქნება სხვადასხვა სამეცნიერო და პრაქტიკული დანიშნულების სტრუქტურები: უნივერსიტეტები, სტატისტიკის, ტურიზმის, ამინდის მონიტორინგისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტი, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები და ა.შ.